საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/47

06 მარტი, 2023 წელი ქ. ბათუმი

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფრანგული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ,,რომანული ფილოლოგიის' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, „რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამდან ,,სლავური ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე , „თურქეთისმცოდნეობის" და „თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან ,,თურქოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, და „ევროპეისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ,,ევროპული ფილოლოგიის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს N 06-01/17, 02.03.2023, № 06-01/18, 02.03.2023, №06-01/19, 02.03.2023, №06-01/20, 02.03.2023 დადგენილებების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნის, ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, 2023 წლის 2 მარტის MES 4 23 0000253590 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამების სტუდენტებისათვის, კერძოდ:

ა) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფრანგული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ,,რომანული ფილოლოგიის' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (12 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის სწავლების I, II და III სასწავლო წლის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე (10 ვაკანტური ადგილი) და სტატუსშეჩერებული (2 ვაკანტური ადგილი) სტუდენტებისათვის;

ბ) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ,,სლავური ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (26 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის ბსუ-ს სწავლების I, II და III სასწავლო წლის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე (15 ვაკანტური ადგილი) და სტატუსშეჩერებული (11 ვაკანტური ადგილი) სტუდენტებისათვის;

გ) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თურქეთისმცოდნეობის" და „თურქული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან ,,თურქოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (80 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე (60 ვაკანტური ადგილი) და სტატუსშეჩერებული (20 ვაკანტური ადგილი) სტუდენტებისათვის;

დ) ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ევროპეისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან ,,ევროპული ფილოლოგიის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (13 ვაკანტური ადგილი) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის ბსუ-ს სწავლების I და II სასწავლო წლის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის.

2.წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული რიგგარეშე შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სტუდენტთა განცხადებების მიღება - 2023 წლის 6 და 7 მარტის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადების მიღება 2023 წლის 9 მარტი.

გ) რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად ბსუ-ს ,,რომანული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო, ,,სლავური ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო, ,,თურქოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო და ,,ევროპული ფილოლოგიის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა 2023 წლის 10 მარტი.

3. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში და წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

5. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტების პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

6. . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**